

ბევრ ქვეყანაში ლიგა და რაგბი ნაყოფიერად თანამშრომლობენ. ერთობლივი ვარჯიშისა და ერთობის ასპარეზების გამოყენების გარდა, გაჩნდნენ კლუბები და ბიზნეს ჯგუფები, რომელთაც ორივე სახეობის გუნდები ჰყავთ. მერე სეზონებიც ისეა დაგეგმილი, რომ სტადიონები არ მოცდეს და ოფალური ბურთის თამაშის ხილვის მსურველს სერიი მთელი წელი არ მოაკლდეს.

ლიგური რაგბის წესები

* რაგბის დარად * ლიგის მიზანს ლელოს და გოლის გატანაა. თამაშიც 80 წუთს გრძელდება. აკრძალულია უბურთო მეთოდების გამოყენება, წინ ბასი და სტანდარტული სიტუაციის დროს მეთოდით გამოყოფა ზოლში ყოფნა.

* რაგბისგან განსხვავებით * ლიგაში ლელო თხი (4) ქულა ღირს, გარდასახვა და ჯარიმა ორი (2, ორივეს გოლი ჰქვია), ხოლო არეკნი (ფილდ გოლი) ერთი (1).

შერკინებაში მიწოლა მოდამი აღარაა და ქაჯობად ითვლება. ბურთის აუტში მალამალ დარტყმა უაზრობაა, რადგან ბოჭვის შემდეგ ბურთი ისედაც უნარჩუნდება შემტვე გუნდს, მანძილის მოსაგებად კი ბურთი მოედანს აუცილებლად უნდა გაარტყა (რაგბის „22“ ლიგაში არ იციან!) აუტი იშვიათობაა. დერეფნის ნაცვლად შერკინება ეწყობა. არც რაქი და მოლი იქმნება, ანუ ბურთისთვის ჯგუფად ბრძოლაზე ჯანი საერთოდ არ იხარჯება და მთელი ენერგია ბურთათობასა და ბოჭვას ხმარდება.

სელდახელ ბურთათობა ჩქარი, ძან გაწაფული და გაშლილია, ბოჭვა კი კოლექტიური, ზე-ხისტი და მეთოდის ბეჭებზე დამდები. ბურთის ფლობა შეზღუდულია „ექვსი ბოჭვის“ პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ გუნდი ზედზე ექვსი იერიშის შემდეგ (იერიში ჰქვია თამაშს ერთი ბოჭვიდან მეორემდე) ლელოს ან გოლს ვერ გაიტანს, ბურთი მეთოდს უნდა გადააბაროს.

სელდახელ ბურთათობა ჩქარი, ძან გაწაფული და გაშლილია, ბოჭვა კი კოლექტიური, ზე-ხისტი და მეთოდის ბეჭებზე დამდები. ბურთის ფლობა შეზღუდულია „ექვსი ბოჭვის“ პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ გუნდი ზედზე ექვსი იერიშის შემდეგ (იერიში ჰქვია თამაშს ერთი ბოჭვიდან მეორემდე) ლელოს ან გოლს ვერ გაიტანს, ბურთი მეთოდს უნდა გადააბაროს.

შემტვე გუნდს ბოჭვებს რეფერი უთვლის და უძახის. ბოჭვის შემდეგ დამცველი გუნდი ათი მეტრით უკან, რეფერიმდე იხევს. შებოჭილი დგება, ბურთს მიწიდან იღებს, მერე მასვე ძირს დებს და ფეხისგულით უკან უგორებს თანაგუნდელ მიმღებს. ამ დროს გამგორებელს წინ ორი მეთოდს უდგას, მაგრამ ამათ ბურთზე თამაში ეკრძალებათ.

სუთი ბოჭვის შემდეგ შემტვე არჩევანის წინაშე დგება: ან სელდახელ თამაში უნდა გააგრძელოს (პაუერ პლეი) და ანაც ბურთს ფეხი დაარტყას. თუ ფრეა ან დრო იწურება, კარში არეკნს არტყამენ. თუ ლელოს ემურებიან, მაშინ ფრთაზე ან კართან აწევენ აბრაგანს, და ანაც თანაგუნდელს ფეხით ბურთს ლელოში შეუცურებენ.

თუ თამაში უბრალოდ მეთოდის ზურგშია გადასატანი, რათა ამან თავისი ექვსი შემტვე ცუდი ადგილიდან დაიწყოს, არტყამენ კუთხეში, ხოლო ვირტუოზები იმასაც ახერხებენ, რომ თავიანთი 40-მეტრა, წითელი ხაზიდან ბურთი იმათი 20-მეტრა ხაზის გადაღმად მიწას გაარტყან. თუ ასე დარტყმული აუტში გადავა, დამრტყმელის გუნდს მეთოდის ზურგში შერკინება ერგება, რაც წ ურიგო შემტვეს უდრის.


თანამედროვე ლიგა ფრიად დინამიური თამაშია. იგი საუკუნოვანი ევოლუციის შედეგია. 13-კაცელებმა აქცენტი თავიანთი სანახაობრივ მხარეზე აიღეს, რადგან უმაყურებლოდ თავს ვერ გაიტანდნენ. რაგბი ახლა აჩქარებულად იმეორებს ლიგის მიერ გავლილ გზას, რამაც მავან ექსპერტს მოსწრებულად შეანინა, ზეპური რაგბი იგივე ლიგაა, ოღონდ დაცვის ხაზი 10 მეტრის ნაცვლად სამ მეტრშია გამწკრივებული, ხოლო შემტვეს ექვსი იერიშის ნაცვლად უსასრულოდ შეუძლია მეთოდის მწეობრში ბზარის ძენაო.

ლიგური რაგბი საქართველოში

ლიგა ჩვენში ევროპული რლშშ-ის ლოცვა-კურთხევითა და შეწვევით იხერგება. „ქართული რაგბილიგის“ მოთავე და ბრეზიდენტია მთაწმინდასა და ვერაზე გაზრდილი აღმოსავლეთმცოდნე, საფრანგეთში მოღვაწე „ცოცხალი სპექტაკლის“ მენეჯერი და ბურთათობათა ლიცენზირებული აგენტი, 44 წლის პატა ცინცაძე. მთავარი მოხელეა 26 წლის „ბორჯღალოსანი“, ჯერაც რაგბის მოთამაშე ნონი ანდელუაძე, წამოწყების საბურთაო ასპექტს კი ქართული რაგბის ბერძენი, 53 წლის დავით კილახონია უძღვება.

„ქართული რაგბილიგა“ რეგისტრაციაში 2004 წლის 1 ივნისს გატარდა. 1 ოქტომბრის საქართველო რლშშ-ის მეთვალყურე წყვილი გახდა. 2005 წელს დაგეგმილია უცხოელი გურუს ჩამოყვანა, კასტინგით ეროვნული ნაკრების, „13 ქართველის“ (თიკუნ ბირობითა) შექმნა, ბრიტანეთში ტრენინგის გამართვა, 4-გუნდა ეროვნული ლიგის ჩამოყალიბება, „გამარჯვების თასზე“ მონაწილეობა და სხვა.

ლიგური რაგბის ქართული წესები და უცხოური ბმულები იხილეთ საიტზე www.geocities.com/Kartuli_Liga



რაა „რაგბი ლიგა“ ?

რაგბილიგა (Rugby League) იგივე ლიგური ანაც ლიგის რაგბი, ხოლო შემოკლებით ლიგა, კონტაქტური, ხელითა და ფეხით ბურთათობის ის სახეობაა, რომლის გუნდშიც 13 კაცია. ლიგის ბურთი ოფალურია.

ლიგა დღესდღეობით დამოუკიდებელი სპორტია. წარმოშობით იგი ეკუთვნის თამაშთა იმ ოჯახს, რომელშიც შედიან (15-კაცა) რაგბი, 11-კაცა ამერიკული ბურთათობა, 12-კაცა კანადური, 15-კაცა გეილური (ირლანდიური), 18-კაცა ავსტრალიური (რულზი), აგრეთვე თაჩი (ხალისობა ბოჭვის გარეშე), ყველა ყაიდის შვიდკაცეობა და თვით (11-კაცა ევროპული) ფეხბურთიც (სოკერი).

ყველა ამ თამაშის საერთო მშობელი რაგბია. ლიგა რაგბს ბოლო გამოეყო და თუმცა საუკუნეზე მეთია, ცალკე ვითარდება, დედა თამაშს სხვა ჩამომავლებზე მეტად ჰგავს. ლიგის თემს დღემდე ეამაყება თავისი წარმომავლობა და რაგბთან წილნაყარობა, მაგრამ არც იმის შენიშვნა ავიწყდება, თუ რად გაჩნდა 13-კაცა თამაში და ორიგინალს რითა ჯობს.

რად გაჩნდა ლიგური რაგბი?

მიზეზი პირწმინდად სოციალური იყო. XIX საუკუნის ბოლოს ინგლისურ რაგბში ინდუსტრიული ჩრდილოეთის მუშურმა გუნდებმა იძალეს. ეს არ ეამა სამხრეთელ არისტოკრატობის და დაკარგული პოზიციის უკეთური ხერხით დაბრუნება სცადა, რისთვისაც საბაბი იოლად გამოჩნდა.

იმხანად შაბათი მთლად უქმე ჯერ არ იყო, თამაშები კი ამ დღეს იმართებოდა. ჩრდილოელებმა მოკრძალებულად ითხოვეს, ეგებ სამუშაოზე გაუსვლელობის გამო დაქვეითული ჯამაგირის კომპენსაცია შეეფუგვლოთ, რაც სამხრეთელებმა რაგბის პირველქმნილი, სამოყვარულო სულის შებღალვად აღიქვეს, ჩრდილოელებს ცოდვა დააბრალებს, რაგბის კეთილშობილი ძირის დასამტკიცებლად ვილიამ ვებ ელისის მითი ციმციმ შეთხზეს და აქამდე მას ერთგულობენ.

ჩრდილოეთმა კომპენსაციის საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. სამხრეთმა ხმები შელოწურად მოიმატა და წინადადება ჩააფლავა. მაშინ ჩრდილოეთი განუდგა რაგბის კავშირს და 1895 წლის 29 აგვისტოს, ქალაქ შადერსფილდის „ჯორჯ ჰოტელში“ დამფუძნებელი კრება მოიწვია. ასე შეიქმნა „ჩრდილოეთის კავშირი“ (1922 წლიდან „რაგბის ლიგა“), რომელიც ინგლისის რაგბის კავშირმა თავიდანვე განკვეთა და მასთან ყოველგვარი ურთიერთობა აკრძალა.

სად გაგრძელდა ლიგური რაგბი?

ლიგის არსებობა გაჩენის დღიდან რაგბის წინააღმდეგ წარმოებული უსასრულო, ალაგ-ალაგ ფრიად უთანასწორო თბი იყო. ამ ბრძოლაში ლიგური რაგბი გადარჩა, ცალკე თამაშად ჩამოყალიბდა, სანახაობრივ ბაზარზე და ბურთობათა ოჯახში დაიმკვიდრა ადგილი და რაგბინდ უცნაურიც უნდა იყოს, მოქიშვე რაგბსაც ფრიად არგო.

ლიგა ჩრდილო ინგლისიდან ჯერ მუშურ სამხრეთ უელსში გაგრძელდა, მერე კი, 1908 წლიდან, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროსზე. XX საუკუნის დამდეგს, რევოლუციური ქართველებისა და ახალი სოციალური მოძღვრებების აღმოცენების ხანაში, ცხოვრება ბევრგან ჭირდა. ამიტომ მორაგბე მუშები ალაღად (უფრო სწორად კი, ვითომც) სამოყვარულო რაგბიდან (ნახევრად) პროფესიულ ლიგაში გადასვლას ამჯობინებდნენ და საკუთარ საბურთაო კულტურას ქმნიდნენ.

ლიგურ რაგბს შემდეგი საფრანგეთი ეზიარა. ბრიტანული რაგბის ფარისეველმა მამებმა ვალეებს პროფესიონალობა დასწამეს და „ხუთი ერიდან“ გააძევეს. მაშინ ბრიტმა და ოხმა ლიგელებმა პარიზში შოუ გამართეს. თამაშმა ფრანგები ისე მოხიბლა, რომ 1934 წლიდან რაგბის ნაღები სრული შემადგენლობით ლიგაში გადავიდა.

ტელევიზიის შემოსვლა

ლიგურმა რაგბმა დიდების ზენიტს 1950-იან წლებში უწია. იმ ხანად, როცა რაგბი ჯერაც უფერული, მდოვრე თამაში იყო, ხოლო ლიგა ჩქარი, ემხიანი და თან მობურთაობის ნიჭისა და ვაჟკაცობის პირუთენელ საწყაოდ აღიქმებოდა, დაწესდა მსოფლიო თასი და დამყარდა ინგლისის თასის ფინალზე დასწრების რეკორდიც, 102 530 კაცი!

მერე ნელნელა შეიცვალა ლიანგის ცხოვრების წესი, გაჩნდა სპორტული ტელევიზია და ფანობა უკლებლივ ყველა სპორტმა მოისაკლისა. შემდეგი ბუმი სატელევიზიო, ფასიანი ტელევიზიის გაჩენას მოყვა. ბარაქობანი ლიგის რეპორტაჟები მთელ მსოფლიოს მიწვდა და ლიგისადმი ინტერესი გაჩნდა ყველგან, სადაც კი რაგბს თამაშობენ.

ტელევიზიამ დიდძალი ფულიც მოიტანა. მშრომელი ხალხის სათაყვანო კარგი ბიჭები ვარსკვლავებად იქნენ, ლიგის მმართველ ეშელონებში კი გავლენის სფეროების გადანაწილება დაიწყო. ერთი ხანობა ავსტრალიური ლიგა ორადაც კი გაიხლიჩა. ამან ლიანგს 13-კაცაზე ცოტათი გული აუცრუა და გაპროფესიულებული რაგბისკენ გაახედა (ლიგის გზას რაგბი ზუსტად 100 წლის შემდეგ დაადგა!)

ლიგური რაგბი დღეს

ლიგას ჩრდილო ინგლისში (იორკშირი და ლანკაშირი, ანუ ლიდს-შეფილდისა და ლიგურბულ-მანჩესტერის მხარეები), ავსტრალიაში (ახალი სამხრეთი უელსი და ქვისზღუნდი, ანუ სიდნეი და ბრისბენი) და ახალ ზელანდიაში (ოკლენდი, მკვიდრი მათრები) საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ამ ადგილებში 13-კაცა ჭეშმარიტად სახალხო თამაშია.

ავსტრალიის ყოფილი სამფლობელო, პაპუასეთია მსოფლიოს ერთადერთი ქვეყანა, სადაც ლიგური რაგბი ნომერ პირველი სპორტია. საფრანგეთში ლიგა (13-კაცა რაგბი ჰქვია!) ბოლო ხანს ერთობ შეავიწროვა რაგბმა, მაგრამ თამაში გადარჩა და აღმაფლობის გზას დაადგა. ბარემ 20 წელია, ლიგამ ფეხი სერიოზულად მოიკიდა კელტურ ქვეყნებშიც (ირლანდია, შოტლანდია, უელსი, აშშ და კანადა).

ლიგური რაგბი შეიჭრა ევროპის კონტინენტზე, კარიბეთში, სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში. ლიბანში ლიგა დანერგა ავსტრალიის არაბულმა თემმა. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ 13-კაცას ხელი რუსეთშიც მოჰკიდეს. იქ დღესდღეობით რაგბი მხოლოდ ციმბირში, ურალზე და ჯარში ყვავის, მოსკოვი, თათარსტანი და სანკტ-პეტერბურგი კი ლიგის ხელშია.

რაგბილიგის საერთაშორისო ფედერაცია (რლიფ) 1948 წელს შეიქმნა. მისი სხდომები ლიდსში და სიდნეიში იმარ-

თება. ევროპული ფედერაცია (რლიფ) ჯერაც ჩვილია. იგი 2003 წლის იანვარში დაარსდა ინგლისისა და საფრანგეთის თაოსნობით, მაგრამ „ერთა თასის“ ორჯერ გათამაშება კი მოასწრო.

სულ ლიგურ რაგბს მსოფლიოს ბარემ 30 ქვეყანაში ეტანება. ისინი არაოფიციალურ რეიტინგში ასე არიან ჩამოწიკებული:

1. ავსტრალია (კენზურები), 2. ახალი ზელანდია (კიგები), 3. ინგლისი (ლომები), 4. უელსი (ურჩხულები), 5. პაპუასეთი (ქუმულზ), 6. ირლანდია (მწვერები), 7. შოტლანდია, 8. საფრანგეთი (მამლაყინები), 9. ფიჯი (ბატიზ), 10. ტონგა, 11. ლიბანი (კედარები), 12. სამოა, 13. რუსეთი (დათვები), 14. აშშ (ტომაპოქები), 15. იტალია, 16. სამხრეთი აფრიკა (მარტორქები), 17. ახალი კალედონია, 18. ქუქეთი, 19. მაროკო, 20. იაპონია, 21. სერბია, 22. ამერიკის სამოა, 23. კანადა; და კიდევ: ვესტ ინდოეთი, საბერძნეთი, არგენტინა, მალტა, ჰოლანდია და **სამაროშვილი!**

ლიგა და რაგბი

*** უწინ *** საუკუნის მანძილზე ორი თამაში ერთმანეთს ლიად მტრობდა. რაგბი ლიგის გლობალურ გავრცელებას ზღუდავდა, ლიგა კი რაგბს ვარსკვლავებს სტაცებდა.

რაგბმა ლიგა კარგა ხანს არ გააჭაჭანებინა ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში. მეორე მსოფლიო ომის დროს მორაგბე გენერალმა პეტუნმა ფრანგული ლიგა დახურა და კლუბებს ქონება ჩამოართვა. რაგბთან წილნაყარმა რასისტულმა რეჟიმმა სამხრეთი აფრიკაში არ ახარა ლიგა. რაგბის ლობში იმავეს მიადრწია იტალიასა და იუგოსლავიაში, რუსეთში კი ლიგა ბოლშევიკებმა მოსპეს.

ლიგამ რაგბს წაჰგარა უელსელი და ავსტრალიელი სუბერ-ვარსკვლავების მთელი ბლავადა. მიზეზი ისევ და ისევ რაგბის კანონთა სიმკაცრე იყო: საკმარისი იყო, მორაგბეს ლიგის გუნდთან ეგარჯომა, რომ სამუდამო დისკვალიფიკაცია ეძლეოდა. ჰოდა, ვისაც რაგბის თამაშში ფულის ლეგალურად აღება სურდა, ლიგაში გადადიოდა.

*** ახლა *** რაგბის გაპროფესიულების კვალად, ბოლო ათი წელია, ურთიერთობა მოწესრიგდა, გამთიშველი ჯებირები დაინგრა, რაგბმა ლიგიდან გადაიბირა მწვრთნელები და ვარსკვლავები, შეითვისა უამრავი იდეა, განვითარდა და თავად ლიგას დაემსგავსა.

მიუხედავად ამისა, ორი მონათესავე სპორტი არ გაერთიანებულა და ალბათ არც არასოდეს გაერთიანდება, რაღაი ტრადიციაზე რომ არაფერი ვთქვათ, სანახაობის ბაზარზე ორივეს თავისი ადგილი აქვს, ორივე მომგებინა და ჯანსაღი კონკურენციაც ორივესთვის ზრდის სტიმულია.